№ 192

ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 192

ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის

**საზოგადოებისაგან**

კრედიტის გასაადვილებლად და დამფასებელთა მისვლა-მოსვლისათვის საჭირო ხარჯის შესამცირებლად საზოგადოების მმართველობამ ამ შემოდგომიდგან მიიღო წესად: ჰგზავნოს ხოლმე სოფლებში აგენტები დასათვალიერებლად და დასაფასებლად ჭირნახულისა, როცა რომელიმე მაზრიდგან საკმაოდ მოგროვდება სესხის მსურველთა თხოვნა.

ამის გამო მმართველობა მოიწვევს საზოგადოების წევრთ, რომელთაც ფულის გატანა ჰსურთ, დაეჩქარონ და დროზედ გამოგზავნონ თავიანთი განცხადება.

**საზოგადოება ახდევინებს:**

| | |
|---|---|
| ნაჭირნახულევის გირაოთი გატანილ ფულში . . | 9% |
| თამასუქით გაცემულ ფულში . . . . . | 9½% |

**თვითონ-კი აძლევს სარგებელს:**

| | |
|---|---|
| მიმდინარე ანგარიშით შემოტანილ ფულში . . | 2½% |
| ექვსის თვის ვადით შემოტანილ ფულში. . . | 4% |
| ერთის წლის ვადით შემოტანილ ფულში. . . | 5½% |

(5—6.—2).

ქართველ-ქალთა

**ამხანაგობის**

**სახელოსნო-სამკერვალო**

ძველის ბინიდგან ახალში გადავიდა, ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

მსურველთ აქვე შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისა, რომ პატარა ქალები მიაბარონ მოსწავლეებად;

აქვე იღებენ შესაკერად უოკელგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

(5—უ.—2)

**მისაღები ეგზამენები**

**ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში**

იქნება 15 და 16 ოქტომბერს.

თხოვნა სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან 12 ოქტომბრამდე მიიღება.

(3—177—2)

**100 მანათად**

ხავერდის ახალი ცალმა მანდილოსნისათვის

ტალმას წავის ბეწვის საყელო აქვს და ბეწვისავე სარჩული.

**მყიდველთ მიჰმართონ:** ნორაშენის ქუჩაზედ, სახლი მელიქ-ნუბაროვისა (ნორაშენის ეკკლესიის პირდაპირ, მე-5 ნაწილში). (5—უ.—3)

მთავრობის ნებართვით

**5 მანათად**

თვეში **გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს ბავშვებს პირველ კლასისათვის, დანარჩენს კლასებში—ერთმანეთთან შეთანხმებით.

მოლაპარაკება შეიძლება 3—6 საათამდე. მიხეილის ქუჩაზედ, სომხის ეკკლესიის ეზოში, ზემო სართული, ვარანცოვის ძეგლის ახლო. (6—176—3)

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **მორიგი კრება ამ საზოგადოების წევრთა** დანიშნულია შაბათს, ოც სექტემბერს, თავად-აზნაურობის ბანკის შენობის დარბაზში. (5—უ.—2)

ქართული თეატრი

კვირას, 21 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

„ვაის ავეყარე ვუის შევეყარე“

კომ. 3 მოქ., გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კუნდელი, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(5—უ.—3)

## ახალი ამბავი

—

*** ბათუმის ახალ გიმნაზიის კურთხევისა გამო ბათუმის მცხოვრებთ და ყველა დაწესებულების წარმომადგენელთ დეპეშა გაუგზავნეს მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, რომელმაც პასუხად შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ქალაქის თავს:

„თქვენთან ერთად გულწრფელად გხარობ და გულოცავ ბათუმელებს, რომ გიმნაზია დაუარსდათ. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი დიდის ხნის გულის ნადები აგრე მალე შესრულდა. მიხეილი“.

აი, დეპეშა, რომელიც მისს იმპერატორებითს უმაღლესობას გაუგზავნა ბათუმმა:

„ბათუმის გიმნაზიის კურთხევის გამო მომხდარს სადღესასწაულო კრებაზედ ქალაქის მცხოვრებნი და ყველა დაწესებულების წარმომადგენელნი თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობის სადღეგრძელოს ჰსმენ, გისურვებენ ჯან-მრთელობას, რომელიც მთელის კავკასიისათვის ძვირფასი არის, და დიდის მოწიწებით გიძღვნიან მადლობას იმ დიდის ყურადღებისათვის, რომელიც აღმოუჩინეთ ბათუმსა და აქ საშუალო სასწავლებლის დაარსების საქმეს. ამავე გრძნობათ, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან აქაურნი მცხოვრებნი, ვრაცხ ბედნიერად შევუერთდე მეც. ბათუმის ქალაქის თავი ასათიანი“.

*** 15 ოქტომბერს მოწვეულნი არიან ქალაქის საბჭოს დარბაზში კენჭის ამოსაღებად ის ყმაწვილნი კაცნი, რომელთაც წრეულს სამხედრო ბეგარა უნდა გადაიხადონ. წრეულს ტფილისიდგან უნდა გაიყვანონ ჯარში 93 ჯარის-კაცი,, 60 ადგილობრივი მკვიდრი და 33 არა ადგილობრივი მკვიდრი.

*** პარასკევს, 19 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ „კავკასი„-ს სასტუმროში დანიშნულია კერძო კრება ტფილისის ქალაქის საბჭოს მოწინაალმდეგე, საოპოზიციო, დასის წევრთა-ხმოსანთა. ამ კრებაზედ უნდა მოილაპარაკონ, ვინ უფრო სასურველია, რომ ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ იქმნას მოწვეული და ვინ დაასახლონ კანდიდატად 6-ოქტომბერს, როდესაც ეს არჩევანი იქმნება. ამასგარდა, კრებამ უნდა შეიმუშავოს პროგრამა ამ დასის საბჭოში მოქმედებისა იმ დროს განმავლობაში, ვიდრე იგი საბჭოში იქნება.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ამ თვის 20-ს ბათუმს მიდის. მის ბრწყინვალებასთანვე ბათუმს წავლენ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენევი, ინჟენრები ბ-ნნი შაიკევიჩი, აკორონკო და სხვანი.

*** დღეს, 17 სექტემბერს, ქალაქის გამგეობა ბეითლებითურთ შეიკრიბება იარმუკაზედ, სადაც საცდელად ხორცი რამდენსამე ხარისხად უნდა გაანაწილონ და ყოველს ხარისხს ცალკ-ცალკე ფასი დაუნიშნონ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ახლად დანიშნული თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი თვისის თანამდებობის აღსრულებას ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეუდგება.

*** 14 სექტემბერს, უცხო ქვეყნის გეოლოგნი ბათუმში წავიდნენ და იქიდგან თავ-თავის ქვეყანაში გაემგზავრებიან.

*** საოპერო დასი სახელმწიფო თეატრში პირველ წარმოდგენას ხვალ, 18 სექტემბერს გაჰმართავს, წარმოდგენილი იქმნება გლინკას 4 მოქმ. ოპერა „Жизнь за царя“. მონაწილეობას იღებენ დასის საუკეთესო არტისტნი: ქ-ნნი ტიმანინისა, გინკულოვისა, კარენინისა: ბ-ნნი: არციმოვიჩი, გაგაენკო, გეცევიჩი და სხვანი.

*** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში შვიდის კლასის გარდა ორი სხვა დამატებითი კლასიც არის, მერვე და მეცხრე, სადაც მოსწავლე ქალები პრაქტიკულად და თეორეთიულად მასწავლებლობას სწავლობდნენ. ეხლა ეს მეცხრე დამატებითი კლასი გაუქმებული იქმნა, რადგანაც უკანასკნელ წლების გამოცდილებამ დაარწმუნა მართველობა გიმნაზიისა, რომ ერთი წელიწადი სრულიად საკმარისია, კურსის თეორეთიულად და პრაქტიკულად შესასწავლად.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს ტფილის-სიღნაღის გზაზედ ავაზაკები გაჩნდნენ და ამას წინად სართი ჰალელი ნემეციც კი მოჰკლეს, მთავრობამ ჩაფრების გარდა, რომელთაც ღამე გზა უნდ დაიცვან, ლოჭინის მახლობლად ყაზახთა სადგური დააარსა ერთის აფიცრის უფროსობით. რიცხვით 40 კარგად შეიარაღებული ყაზახი იქმნება იქ. ყაზახებს გარდა, აფიცერს ხელ-ქვეითად ეყოლება რამდენიმე ჩაფარიც გზის მაჩვენებლად.

*** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა ნაამბობი ფარაჯ-ბეგ ყულიხანოვის მიერ ცოლ-შვილის მოკვლის ამბავი.

გუშინ წინ, 15 სექტემბერს, საავადმყოფო საანატომიო თეატრში გასჭრეს მოკლულის გვამები: ევდოკია კულიხანოვისა, ფარაჯბეგ კულიხანოვისა და 14—15 წლის ვლადიმირისა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. უკვე გამოირკვა, რომ ვლადიმირი ობოლი ყოფილა. იმის დედმამის სიკვდილის შემდეგ მზრუნველად ფარაჯ-ბეგ კულიხანოვი დაუნიშნავთ. საბრალო ბავშვი შაბათს, 16 სექტემბერს, გარდაიცვალა. საავადმყოფოშივეა ბოლოტოვი, რომლის ჭრილობებიც საშიში არ არის.

*** კვირას, 14 სექტემბერს, გარდაიცვალა ტფილისში ადგილობრივი ვაჭარი, „ის. ფითოევის და ამხ.“ სავაჭრო სახლის წევრი გრიგ. ივ. მეღვინოვი. განსვენებულმა შემდეგ დაწესებულებათ უანდერძა ფული: სომეხთა კათალიკოზს ახალგაზდათა გამოსაზდელად — 25 ათასი მან., ნერსესიან სასულიერო სემენარიას—6ათასი მან., სახელოსნო სასწავლებელს—6 ათასი მან., ეჩმიაძინის მონასტრის შესაკეთებლად—2 ათასი მან., სურფ-ნიშანის ეკკლესიას—1 ათასი მან., ტფილისის ქალაქის გამგეობას (ქალაქის სკოლებისათვის)—15 ათასი მან., სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას — ათასი მან., სომეხთა მღვდლების კასსას—ათასი.

*** კვირას, 14 სექტემბერს, ოქროყანაში მცირე წლოვან-დამნაშავეთა ახალშენის ერთის წლის დაარსების გამო გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ს. ბ. ვრასკი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ გირეი და სხვანი. მცირე წლოვან მოსწავლეთა გასართობად სამხედრო მუსიკა იქმნა მოწვეული. 12 სექტემბრისთვის ახალშენში სულ 32 კაცი იყო, მათ შორის რუსი—10, ქართველი—12, სომეხი—7, პოლონელი—1, გერმანელი —1 და ურია—1. სარწმუნოებით ასე განაწილდებია: მართლ მადიდებელნი—24, სომეხ-გრიგორიანნი—7, ებრაელი—1. ტფილისის გუპერნიიდგან ახალშენში 19 ყმაწვილია, ქუთაისის გუბერნიიდგან—4, ერევნის გუბ.—1, ყუბანის ოლქიდგან—4, თერგის—3 და ბესარაბიის გუბერნიიდგან—1.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით არეშის მაზრის უფროსი კოლეჟსკი სოვეტნიკი ზოლოტნიცკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

*** ამ დღეებში, გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, შეერთებული კრება ჰქონდა ტფილისის გუბერნიის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს და დეპუტატებს, რომელზედაც განხილულ იქმნა თხოვნა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილების 17 მსესხებლისა, იმის შესახებ, რომ ძველი დარჩენილი შესატანი და აგრეთვე ის გარდასახადი, რომელიც პირველ ნოემბრამდე უნდა შეიტანონ მიეკეცოს თავნ ვალს, რომელიც

ირიცხება ამ მსესხებლების მამულებზედ. შეერთებულმა კრებამ ეს თხოვნა ყურადღების ღირსად იცნო და დაადგინა, აუწყოს იგი ბანკის მმართველობას, ამას წინად გამოცემულის მთავრობის განკარგულების თანახმად.

ამავე კრებაზედ თავად-აზნაურთა ერთმა წინამძღოლთაგანმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობამ თავისის მხრივ შესაძლებელი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს ადგილობრივს ბთავრობას ავაზაკობის წინაალმდეგ, რომელიც ძალიან ძლიერდებაო. აქ დამსწრეთ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ერთად შევიმუშავოთ ღონისძიებანი მთავრობის მიერ ავაზაკობის წინაალმდეგ ბრძოლის გასაადვილებლადაო. ამის შესახებ ამ ახლო ხანებში განსაკუთრებული კრება იქმნება დანიშნული.

*** პეტერბურგი. საქალებო სამკურნალო კურსებზედ ლექციების კითხვა დაიწყო 15 სექტემბერს. მსმენელთა რიცხვი ას სამოც-და-რვაა. მათ შორის 90% მართლ-მადიდებელია, 4% კათოლიკე, 3% ლოტრანგი და 3% ურია. მართლ-მადიდებელთა რიცხვში ერთი ჩვენი თანამემამულეთაგანიც ურევია: მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი. დიდად სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენად მიგვაჩნია ჩვენის თანამემამულე ახალგაზდა ქალის სამკურნალო კურსებზედ ყოფნა. როგორც კერძოთ შევიტყეთ, რამდენსამე ქუთათურ ახალგაზდა ქალს განუზრახავს სამკურნალო კურსებზე წასვლა. ია-ვარდით გზა-ფენილი თქვენს განზრახვას და სურვილს, ქალებო?!.

*** ქ. ქუთაისი. ეს სამი თვე გადის, რაც საკრებულო ტაძრის შიგნითა კედლების გამშვენიერებას შეუდგნენ. აქამდის ეს კედლები უბრალოდ იყო კირით შეთეთრებული და დღეს-კი დაუღალავის დეკ. გ. ცაგარეიშვილის მეოხებით მშვენივრად ნახატები კეთდება კედლებზედ. შეწირულობაც მოვიდა ამ საქმისათვის და ეკკლესიის ფულსაც ჰხარჯავდნენ, მაგრამ ჯერ მაინც კიდევ ვერ დასრულდა ეს მხატვრობა და ეკკლესიასაც გამოელია ფული. დაწყებულის საქმის დაუბოლოვება-კი აბა რა სასიამოვნოა. იმედია, კომიტეტი თავს გამოიდებს ამ საქმისათვის და სახელოვანად დააგვირგვინებს. საჭიროა ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც არა დაიშურონ-რა ეკკლესიის გამშვენიერებისათვის და ხელი შეუწყონ კომიტეტს, რითაც შეუძლიანთ. როგორც გავიგეთ, ბ-ნ ნიკო ინჯიას განუზრახავს საკუთარის საფასით დაახატვინოს ერთი ხატი, რომლის მაგალითსაც იმედია სხვებიც მიჰბაძვენ.

*** „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა კრებულის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანებანი:

1268. იმის შესახებ, რომ ტფილისში ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულ სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეები ქუდსა და საყელოზედ განსაკუთრებულ ნიშნებს ატარებდნენ და ამ ნიშნების ნახატის დამტკიცების გამო.

1271. იმის შესახებ, რომ კავკასიის მხრის მიწა-მამულის აღწერილობა შეცვლილ იქმნას სამთო-მრეწველობის მხრივ.

1243. იმის გამო, რომ ძმ. ნობელის ნავთის მრეწველობის ამხანაგობას ნება დაერთოს გამოსცეს 10 მილიონის მან. ობლიგაციები.

## ქალაქის საბჭო

15 სექტემბერი

კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზედ; დაესწრო 54 ხმოსანი. საბჭო შეუდგა წარსულ კრებაზედ შეწყვეტილი საქმის—ტფილისში სადგომის გადასახადის შემოღების განხილვას. როგორც წარსულს კრებაზედ, ისე ეხლა, ამ საგანმა გაცხარებული სჯა-ბაასი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ბევრი, თითქმის უმეტესობა, იმ აზრისა იყო, რომ ეს გადასახადი შემოღებულ უნდა იქმნას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალაქს ფული არა აქვს და მეორე კიდევ, რომ ქალაქის მკვიდრთა მომეტებულს რაოდენობას მიეცემა ამომრჩეველთა უფლება და ეს მეტად სასურველია და გამოსადეგი ქალაქის კეთილდღეობისათვის. ზოგმა ის აზრიც წარმოსთქვა, რომ ამ გადასახადის შემოღებით თავიდგან ავიცილებთ იმ ცილს, რაც ამ ბოლოს დროს ჩვენ ქალაქის საბჭოს დასწამეს, სახელდობრ, ვითომ ქალაქის თვითმმართველობა ერთის ტომის ხალხმა ჩავიგდეთ ხელთ და სხვას ფეხს აღარ ვადგმევინებთ იქაო. ამ გადასახადის შემოღების წინაალმდეგნი იმას ამბობდნენ, რომ ეგ გადასახადი იმდენს ფულს არ მისცემს ქალაქის კასსას, რომ შემოღებათ ღირდესო. ბოლოს საბჭომ უარ ჰყო ამ გადასახადის შემოღება ტფილისში და ხმის უმეტესობით, მიუხედავათ იმისა, რომ კამათის დროს უმრავლესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ამ გადასახადის შემოღება სასურველი და სასარგებლოა, დაადგინა: სადგომის გადასახადის შემოღებას თავი დავანებოთო.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ძროხისა და ცხვრის ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ.

ეს საგანი წარსულ კრებაზედ უნდა განხილულიყო, მაგრამ, რადგან საჭირო ცნობები არ იყო შეკრებილი, საბჭომ დღეისთვის გადსდო. გამგეობამ შემდეგი საშუალება იხმარა იმის გამოსარკვევად, თუ რა ჯდება ერთი გირვანქა ძროხისა და ცხვრის ხორცი: იყიდა რამდენიმე ცალი ძროხა და ცხვარი იმ ფასად, რა ფასად ეხლა იგი ტფილისშია, დააკლევინა და შემდეგ ყოველ ხარჯის გამოანგარიშების მიხედვით, გამოიკვლია რა უნდა დაჯდეს გირვანქა. გამგეობის წევრების გარდა ამ გამოსაცდელ დაკვლას რამდენიმე ხმოსანიც დაესწრო. ამ გამოცდამ გამოაშკარავა, რომ ძროხის ხორცი ყასბებს გირვანქა 7 კ. ნაკლებად უჯდებათ, ხოლო ცხვრისა—8 კაპ. ამიტომ გამგეობამ თავის მხრივ დაადგინა ძროხის ხორცის ნიხრი 8 კაპეიკის მაგიერ 7 კაპეიკი, ხოლო ცხვრისა ისევ ის, რაც წინად იყო ე. ი. 8 კაპეიკი.

ამ საგანმაც დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის. სხვათა შორის წარმოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა ტფილისში ისეთი ნიხრი იქმნას შემოღებული, როგორიც, მაგ, პეტერბურგშია, ე. ი. საქონლის საუკეთესო ნაჭრები მეტ ფასად იყიდებოდეს, ხოლო მდარე ნაკლებ ფასად. როგორც გამგეობის ერთი წევრის სიტყვიდგან აღმოჩნდა, გამგეობა უკვე შესდგომია ამის შესახებ ცნობების შეკრებას და მომავალში კიდეც წარუდგენს საბჭოს თვისს მოხსენებას. საბჭომ დაადგინა დაუკლოს ძროხის ხორცის ნიხრს ერთი კაპეიკი, ხოლო ცხვრისა ჯერ-ჯერობით 8 კაპ. დასტოვოს, ვიდრე დაწვრილებით არ იქმნება გამოკვლეული ეს საგანი.

შემდეგ საბჭო შეუდგა იმის განხილვას, თუ რა ჯამაგირი უნდა დაენიშნოთ ქალაქის მოურავს, გამგეობის წევრებს და ქალაქის მდივანს. ამ საგნის განხილვის დროს თავმჯდომარეობდა ბ.-ნ ბუჰარტი. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ქალაქის მოურავის ჯამაგირი ისევ ის იყოს, რაც წინად იყო ე. ი. 6,000 მანეთი და ამასთანავე წარმოსთქვეს, რომ ქალაქის მოურავს სხვა დაწესებულებაში არავითარი თანამდებობა არ უნდა ჰქონდეს, როგორც, მაგალ. იზმაილოვის დროს, რომელიც ერთს საკრედიტო დაწესებულებაში მსახურობდა. ზოგის ხმოსანის აზრით 6,000 მანეთი ქალაქის მოურავისათვის ძალიან ცოტაა, რადგანაც ასეთი საპატიო თანამდებობა დიდს ხარჯს იწვევს. ამიტომ საჭიროა ჯამაგირი მოემატოს და 6,000 მაგიერ 7,000 ან 8000 მან. მიეცესო. ვიდრე ამ საგნის შესახებ კენჭის ყრას შეუდგებოდნენ, საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ ქალაქის მოურავს, ამ თანამდებობის გარდა სხვა არავითარი თანამდებობა არ უნდა ჰქონდესო.

შემდეგ კენჭის ყრით დაენიშნათ ჯამაგირი ქალაქის მოურავს, იმის მოადგილეს, გამგეობის წევრებს და მდივანს ისევ ის, რაც აქამდის იყო ე. ი. ქალაქის მოურავს 6000 (40 თეთრი და 4 შავი), მოადგილეს—3,500 მან. (36 თეთრი და 18 შავი), გამგეობის წევრებს თითოს — 3,000 მან. (40 თეთ. და 14 შავი) და ქალაქის მდივანს — 2,000 მან. (52 თეთ. და 2 შავი).

კრება $11^1/_2$ საათზედ დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. სუჯუნა,** (სამეგრელო). დ. სუჯუნიდგან სადგურ აბაშამდის ოთხი ვერსია, ამათ შუა ადგილზედ, მდინარე ცუდ-ღელეზედ, არის გადადგმული წისქვილი რამოდენისამე საბაშვილებისა და ებრაელ არონა მიხეილაშვილის. 30 აგვისტოს, შაბათ ღამეს, ამ წისქვილთან მისულა აქაური მცხოვრები აზ. ერმილე გიორგისძე საბაშვილი და ეტლისათვის მოუცდია, ქუთაისისაკენ მიმავალებულა. ჰქვითად-კი არ წასულა, რადგანაც შიში ჰქონდა მტრებისა თურმე. ეს საბაშვილი ვექილობდა და ბევრი ჰყოლია გადამტერებული. წისქვილში დახვედრია მეწისქვილე ნიკოია ქანთარია და უკითხავს საბაშვილისათვის, საით მიბრძანდებითო. საბაშვილს უოკვლიკე უამბნია. ნიკოია პატარა ხანს განშორებია სადღაც, მალე ისევ დაბრუნებულა, მეწისქვილე და საბაშვილი დამჯდარან გარეთ და დაუწყიათ ბაასობა. ამ დროს უცნობდგან მიჰპარვიან საბაშვილს და ცულით, რაც ძალი და ღონე ჰქონიათ, შემოუკრავთ კბილებთან რამდენიმე და იქვე გადაუქცევიათ უსულოდ. გაუხდიათ, წელდაბლა რაც რამ ეცვა, დაუჭრიათ ფეხები სამს ადგილას, გაუხვევიათ ნაბადში და რადგან იმ ღამეს დამარხვა ვერ მოუსწრიათ, წისქვილის უკან სადორეში შეუნახავთ. მეორე დღეს, კვირა ღამეს, მისსავე ადგილის კიდეში, ცუდი ღელის პირში, ამოუთხრიათ ერთი არშინი მიწა და შიგ ჩაუგდიათ. რომ არ ჩატეულა, ძალათი ჩაუტენიათ.

სწორედ მეორე შაბათს, 6 სექტემბერს, იქაურის მეზობლის, გვარად ხოშტარიას, ძაღლს კაცის ფეხი ჩაუტანია და ჭამა დაუწყია. უნახავს პატრონს, ძაღლისათვის ფეხი წაურთმევია და დაუწყია მეზობლებში ყვირილი, ეს კაცის ფეხი უნდა იყოსო. ბევრმა იცნო თურმე ერმილე საბაშვილის ფეხი, რადგანაც ნიშანი ჰქონია. მიჰყოლიან ძაღლს და მისულან იქ, სადაც ის საცოდავი ისე უმოწყალოდ ეგდო მიწაში. იმ წამს ადგილობრივ მამასახლისისათვის შეუტყობინებიათ, მერე აბაშისა და სუჯუნის ბოქაულები მოსულან, გამოუძიებიათ საქმე და დაუწყიათ მკვლელების ძებნა. უკვე შეუპყრიათ ოთხი თუ ხუთი კაცი; მეწისქვილეც შეპყრობილია.

9 სექტემბერს მობრძანდა გამომძიებელი თავ. ნაკაშიძე, სენაკის მაზრის ექიმი ბ-ნი კახიანი და ამოიღეს მოკლულის გვამი მიწიდგან. გაჭრის შემდეგ ჩაასვენეს კუბოში და მღვდლის იოანნე საბაშვილის წინამძღოლობით წაასვენეს დასასაფლავებლად.

როგორც ამბობენ, მოკლულს განცხადება ჰქონია შეტანილი მთავრობასთან, რომ თუ კაცის ხელით მოვკვდი, ესა და ეს კაცები მომკლავენო. თუ ეს მართალია, მკვლელების მოძებნა ისე ძნელი აღარ იქნება.

სუჯუნელი

**სოფ. ბასილეთი.** (ოზურგეთის მაზრა). ჩვენის სოფლის საზოგადოებაში ხუთი ათას კომლამდე მცხოვრებია და მომეტებულ ნაწილს შეადგენს გლეხ-კაცობა. თუმცა ყველანი ხვნა-თესვას მისდევენ, მაგრამ სამყოფი სიმინდი არ მოჰყავთ, რადგან, ჯერ ერთი, ზარმაცად ეკიდებიან თავიანთ საქმეს და, მეორე, თუთუნის მოყვანას მიჰყვეს ხელი. სწორედ ეს სიზარმაცეა მიზეზი, რომ ბევრნი მთელ დღეებს სასამართლოს კარების წინ ატარებენ და დანარჩენ თავისუფალ დროს ქაღალდის თამაშობას ანდომებენ. ვიდას ახსოვს სკოლა და იმისი ხეირიანად მოწყობა. ოცი წელიწადი არსებობდა აქ ერთ-კლასიანი სკოლა და ბოლოს, 1889 წელს, როგორც იყო გადააკეთეს ორ-კლასიანად, მაგრამ მაინც ვერ ამაყოფილებს შესვლის მსურველთა რიცხვს, მაგალითად, წელს 90 ბავშვმა მოიყარა თავი, იძულებულნი იყვნენ უადგილობისა გამო მარტო 25 მიეღოთ.

სკოლას მზრუნველებიცა ჰყავს, მაგრამ სკოლის სიკეთისათვის ჯერ არაფერი არ უზრუნიათ, პირ-იქით, როგორც ეტყობათ, სცდილობენ შეაფერხონ როგორმე სწავლის საქმე. ჯერ იყო და ეს კაპიტონები დიდნი წინააღმდეგნი იყვნენ სკოლის ორ კლასიანად გადაკეთებისა, ეწინააღმდეგებიან სკოლის ზედამხედველის საკეთილო სურვილს. ზედამხედველმა ბ ნმა კ. შ—ძემ გამოუცხადა მზრუნველებს, რომ 25 ბავშვი რომ მივიღოთ, მაშინ თითოეულს მასწავლებელს 75 მოსწავლე გვეყოლება, ხუთის ადგილი მეორე კლასშია და ამ ადგილებზედ მივიღოთ ჩვენს საზოგადოების გარეშეთაგან, რომელნიც შემოიტანენ წელიწადში 60 მანეთამდის და ამ ფულით შეგვიძლიან შევკეთოთ სასწავლებლის შენობა და ცოტა გავაფართოვოთო. მზრუნველებმა უარი განაცხადეს, რომ განაჩენის ძალით არ შეგვიძლიან მივიღოთ ვინმე გარეშეთაგანიო. საკვირველია ღმერთმანი, თუ წინად იღებდნენ, ეხლა რა მოხდა ისეთი? მუდამ წელს ფარცმისა და ჯვარცმის (ჯვარცმაში ეხლა ორ-კლასიანად გადაკეთდა) ერთ-კლასიან სკოლებში სწავლა-დამთავრებულთ იღებდნენ ჩვენის სკოლის მეორე კლასში, წელიწადში 10 მან. იხდიდნენ და ამ ნაირად სკოლას კაი შემოსავალი ჰქონდა. ეხლა-კი, ჯერ ერთი, 12 მან. გახადეს, 10 მან. მაგიერ, და მეორე, სცდილობენ არ მიიღონ გარეშენი.

ბევრს დავეკითხე, რად დაგიდგენიათ ასეთი განაჩენი მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, რას ამბობ, ჩვენ მაგისთანა არა დაგვიდგენია-რაო. აი, სკოლის მზრუნველები როგორა ჰზრუნავენ სკოლისათვის! იმის მაგივრად, რომ სკოლას ან ერთი კლასი კიდევ მოუმატონ და ან მასწავლებელი მოიწვიონ, რაღაც განაჩენებს ადგენენ საზოგადოების დაუკითხავად. ხალხი-კი ძლიერ მოწადინებულია, რომ ერთი კლასი კიდევ მოუმატონ. ოღონდ გვიშველონ რამე, ერთი კლასი კიდევ მოუმატონ და თუნდა უკანასკნელ პერანგსაც გავიტანთ და გავყიდითო.

შარშანვე დაიწყეს ლაპარაკი, ნასწავლი მამასახლისი ამოვირჩიოთო, მაგრამ დატრიალდნენ ზოგიერთი კაპიტონები და ჩააფუჩეჩეს ეს საქმე.

ბ. კ—ძე

## სასამართლოს მატიანე

საქმე აზნ. დ. ი. კეზელისა და გლეხის ალ. მახარაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ აზ. ბარამ შაბურიშვილის მოკვლა და სხვა შაბურიშვილების მოკვლის განზრახვა.

(დასასრული *)

ბრალმდებელი. აქა სცდილობენ თავდაპირველ საბუთად წამოაყენონ და დაამტკიცონ, რომ ბრალდებულს კეზელს შაბურიანი და ფავლენიანი თავს დაესხნენ და თვითონ იმას უპირებდნენ მოკვლასაო, მაგრამ როდესაც ჩვენ ამ გარემოებას კვალში ჩავუდექით და მივყევით, არც ერთი ცოტაც არის სარწმუნო დ შესაწყნარებელი საბუთი, რომელიც აღნიშნავდეს თუნდა თავ-დასხმის ნასახს, ჩვენ ხელთ არ შეგვრჩა. იმ მოწმეების ჩვენება, რომლითაც ბრალდებული სცდილობს დაამტკიცოს, რომ თავს დამესხნენო, თავის-თავადა ქარწყლდება და დნება, როგორც თოვლი ცხარე მზის სხივების ქვეშ, ანუ როგორც ცვილი ცეცხლზედ. აქ მოწმე ბაშაროვმა, რომლის ჩვენებიდგანაც უნდა დავიწყო ჩემი სიტყვა, გვიამბო, თუ როგორ ემტერებიან შაბურიანი და ფავლენიანი კეზელსა, მაგრამ რამდენად ფუჭი და საფუძველს მოკლებულია ეს სიტყვები, ესეც თვითონ ბაშაროვის ნალაპარაკევიდგანა სჩანს. იგი თავისს ნალაპარაკევს აფუძნებს მიქელ მოლოდინის ნათქვამზედ, იმ კაცისა, რომლის მოწმობაც თითონ ბრალდებულის ვექილებმა იცნეს უმნიშვნელოდ და უარ-ჰყვეს. რამდენად უმნიშვნელოა ამავე მოლოდინის ნალაპარაკევზედ დაფუძნებული ჩვენება მოწმის ბაშაროვისა, ამას თქმა აღარ უნდა. ბაშაროვისა და გედევანიშვილის ჩვენებანი რომ ერთმანეთს შევადაროთ, რაღაცა გაუგებარი ჰოც და არაც გამოდის. ერთი მათგანი, გედევანიშვილი, მოგვითხრობს, რომ ლუარსაბ ფავლენიშვილმა ბრალდებული კეზელი იმ

*) იხ. „ივერია“ № 186, 187 და 191.

სადამოს შაბურიანთა და ფავლენიანთ ხელიდგან სიკვდილს გადაარჩინაო. თუ ამ სიტყვებს დავერწმუნებით, ლუარსაბ ფავლენიშვილი მოკეთე ყოფილა ბრალდებულისა და არა მტერი, როგორც გვეუბნება ამას მეორე მოწმე ბაშაროვი და გვარწმუნებს, რომ იგივე ფავლენიშვილი შაბურიაანთან ერთად მოსისხლე მტერია ბრალდებულისაო; რომ ის იმას-კი არა სცდილობდა, რომ სიკვდილს გადაერჩინა ბრალდებული, პირიქით, მოკვლა უნდოდათ იმისი და ამ განზრახვის შესასრულებლად არა ერთი და ორი თოფის ტყვია გასტყორცნეს იმისაკენაო.

თუ-კი მართლა, როგორც ბაშაროვი გვარწმუნებს, მთელს ტყვიის სეტყვას სტყორცნიდნენ შაბურიაანი და ფავლენიაანი კეზელსა, სახლის სახურავიც აუგლიჯეს და კრამიტებიც ჩაულეწეს, როგორ-და მოხდა, რომ იმ ტყვიის სეტყვიდგან ერთი გიჟმაჟი ტყვიაც არის ისე არ მოხვდა ან სახლსა, ან გომურსა და ან საბძელს, რომ მონახვედრი დასტყობოდა. ბრალდებული გვარწმუნებს, რომ ნატყვიარები ეტყობოდაო. თუ-კი მართლა ეს ასე იყო, ნუ თუ ამას ბრალდებული თვითონ მაინც მაშინვე არ უჩვენებდა ამ საქმის გამოსაკვლევად მისულთ მოხელე კობიაშვილსა და ბოქაულს ჭონქაძეს, თუ რომ ამ საყურადღებო გარემოებას თითონ ისინი არ მიაქცევდნენ ყურადღებას და არ აღნიშნავდნენ თავიანთს ოქმში. არა, ყოველ ამის შესახებ ბრალდებული სდუმს და მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ ეუბნება კობიაშვილს დუშეთში, რომ ნატყვიარები ეტყობა სახლსაო.

განვიხილოთ ახლა მეორე მოწმის, მოლოდინის, ჩვენება. მაშინ, როდესაც ბაშაროვი მიქელა მოლოდინის ნალაპარაკევს მოგვითხრობს ტყვიის სეტყვის შესახებ, მეორე მოწმე გიორგი მოლოდინი ამბობს, რომ მარტო ორჯელ გაისროლა თოფი ნიკო ფავლენიშვილმა, ისიც, როდესაც მე კეზელის საბძლიდგან გაქცეული იმათ კარებზედ მიველი, მას შემდეგაო. ამ გვარად, შაბურიაანთ მხრივ თავ-დასხმისა და თოფის სროლის დასამტკიცებლად წამოყენებულ საბუთებიდგან ხელში აღარაფერი შეგვრჩა. ერთი ეს ვიკითხოთ კიდევ, დასაჯერებელი და შესაწყნარებელია იმის თქმა, რომ კეზელის მოსისხლე მტრები კეზელის მოსაკლავად, თითონ იმას-კი არა, იმის სახლსა და გომურს ესროდნენ თოფებსა? თუ-კი კეზელის მოკვლა ჰქონდათ განზრახული, თოფებსაც ხომ იმას ესროდნენ. როგორღაც ნათქვამია: „ოჰ, მინდორო, მინდორო, ვინ მოგფინა დახოცილთა ცხედრებითაო!“ აქ-კი ეს სიტყვები ასე უნდა გადავაკეთოთ: „ოჰ, მინდორო, მინდორო, ვინ მოგფინა ღორის ხორცითაო!..“ რომელი გულ-უბრყვილო კაცი დაიჯერებს, რომ შაბურიაანი კეზელთან, რომელსაც თოფებიცა და სხვა იარაღიც მოეპოვებოდა, საომრად და თავს-დასასხმელად ღორის ხორცით შეიარაღებულები წავიდოდნენ და თან 13—14 წლის კოტესაც წაიყვანდნენ!.. მაგრამ არა, ეს თავსდასხმა და თოფების სროლა მოგონილია და შეთხზული თითონ ბრალდებულის კეზელისაგან. რისთვის დასჭირდა ამისი შეთხზვა, თუ თითონ არ არის დამნაშავე და არ უნდა, რომ თავისი დანაშაული ამ განზრახ მოგონილს თავს-დასხმასა და თოფის სროლას ამოაფაროს?!.

აქ ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მოწმად ნაკითხ შაბურიშვილების ჩვენება არ ეთანხმება ერთმანეთსა და ამასთან ასახელებენ ზოგიერთს ისეთს გარემოებას, მაგალითად, თოფების ახლოდგან სროლასა და აცდენას,—რომელიც თუ სრულიად დაუჯერებელი არა, ძნელად დასაჯერებელი მაინც არის, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ნაკლი იმათს მოწმობას სრულიადაც არა ჰხდის ნაკლებად სარწმუნოს, ჯერ იმისთვის, რომ იმ გარემოებაში მყოფს ხალხს, როგორს გარემოებაშიაც შაბურიშვილები იყვნენ, იმ დროს, როდესაც იმათ თოფებს ესროდნენ, არ შეუძლიან და არც მოეთხოვება საქმის ყველა წვრილმანის უნაკლულოდ დახსომება და სასამართლოსთვის ისე გადაცემა; მეორე, იმიტომაც, რომ საქმის უმთავრეს გარემოებათა შესახებ შაბურიშვილების ჩვენებაში სრული და უნაკლულო თანხმობაა. ამგვარმა მათმა ჩვენებამ, პირ იქით, უნდა დაგვარწმუნოს, რომ ყველა მათგანი საქმის გარემოებას ისე მოგვითხრობს, როგორც ჩარჩენია მეხსიერებაში. იმათს ჩვენებას არ ეტყობა განგებ შემუშავება, შალაშინის წასმა და გაზეპირება. ასე რომ ყოფილიყო, ხომ შაბურიშვილებიც მოახერხებდნენ გაეზეპირებინათ ერთნაირად სასამართლოში სათქმელი, და წარმოედგინათ სასამართლოსათვის ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი მოწმის ჩვენებისა. მოწმემ კონსტანტინე შაბურიშვილმა საკმაოდ განმარტა მიზეზი, რის გამოც შესაძლებელი იყო არ მოხვედროდა შაბურიშვილებს თოფის ტყვიები. ჩასაფრებულები ყოფილან საბძლის კუთხის მეორე მხარეზედ და ამის გამო ადვილად შესაძლებელია ტყვიის აცდენა. განა ასეც რომ არ ყოფილიყო სხვაფრივ-კი არ არის შესაძლებელი ასცდენოდათ თოფის ტყვია, ნასროლი კეზელისა და მისის მოსამსახურეებისაგან? გამოცდილებით ვიცით, რომ მთელი რაზმი თოფის სროლასა და იარაღის ხმარებაში გაწვრთნილ-დახელოვნებული ჯარისა ააცდენს ხოლმე ტყვიასა და ვერ მოარტყამს ვერც ერთსა და ამ შემთხვევაში ტყვიის აცდენა ჩვენ რად უნდა მივიჩნიოთ შეუძლებლად?

საბალახე ამ ქვეყანაში ძველი და საუკუნოებით შემუშავებულ-დამკვიდრებული ჩვეულებაა, თოფ-იარაღითა და მუშტით ამ ჩვეულების ამოკვეთა და მოსპობა არ შეიძლება; ვისაც იგი არ მოსწონს, შეუძლიან კანონიერის გზით იმოქმედოს. თითონ ამ საბალახეს აღებაში მე არავითარს დანაშაულობას არა ვხედავ, მით უმეტეს, რომ, როგორც მოწმეებმა დაგვარწმუნეს, საბალახეს აღების დროს წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ბრალდებული კეზელი თუ შელახულადა და დარღვეულადა სთვლიდა თავისს უფლებას, მოვალე იყო ეს უფლება აღედგინა და დაეცო კანონიერის ღონის-ძიებით, მაგრამ არა, მან ამ შემთხვევაში კანონიერს გზას აუხვია, უარ-ჰყო იგი და წარმოიდგინა ძველი დრო რაინდობისა, როდესაც მუშტი, იარაღი და ძალა მეფობდა; მახარაშვილი მოიშველია და თავისის ვითომ და შელახულის უფლების აღსადგენად მიჰმართა მუშტსა და იარაღს. ჯერ მარტოკამ გასწია შაბურიანთკენ. აქ წინ შეხვდება თავ. ლუარსაბ ფავლენიშვილი, რომელიც ურჩევს, თავი დაანებოს ძალმომრეობასა და დაბრუნდეს შინ. ბრალდებულს შერცხვება და, მართლაც, შინა ბრუნდება ამ ხელად, მაგრამ, როგორც შემდეგ დავინახავთ ეს გამოფხიზლება წუთიერია მხოლოდ. შინ დაბრუნებული კეზელი ხელ-ახლად მძვინვარდება და უსაფრდება თავისის მოსამსახურეებთან ერთად შაბურიშვილებს გზაზედ, რომელზედაც იმათ უნდა გამოიარონ დავით შაბურიშვილისაგან თავიანთ „სახლისკენ წასულებმა. როდესაც შაბურიშვილები გამოივლიან, კეზელი თავს ესხმის. როგორც გვიჩვენა თებრო შაბურიშვილისამ, შინ დაბრუნებულს შაბურიშვილებს არამც თუ რაიმე იარაღი, დანაც-კი არა ჰქონიათ ამ დროს. შაბურიშვილები, ღორის ხორცით დატვირთულები, თავიანთ სახლებში ბრუნდებიან და არა კეზელის მოსაკლავად მიდიან, კეზელი და იმისი ბიჭები-კი ამ დროს საფარიდგან მოულოდნელად გამოუცვივიან, თოფების სროლას აუტეხენ და ამ სროლაში კეზელი ჰმეთაურობს.

მხოლოდ ერთად-ერთმა მოწმემ, გიორგი მოლოდინმა, სთქვა, რომ ორჯელ ესროლა თოფი ნიკო ფავლენიშვილმაო, მაგრამ იმავე მოლოდინმა ისიც დაუმატა, რომ ფავლენიშვილის თოფის ტყვია იქამდე ვერ მიაწევდა, სადაც ეს საქმე მოხდაო. ვთქვათ, ფავლენიშვილმა მართლა ესროლა თოფი, განა ეს დანაშაულობად უნდა ჩავუთვალოთ? არა, იგი, 101 მუხლის თანახმად მადლობის ღირსია ამ საქმისთვის. გარდა იმისა, რომ ბრალდებული კეზელი დამნაშავეა როგორც მოთავე ამ საქმისა, ის ბოროტადაც სარგებლობს მახარაშვილის უმეცრებით და მიჰყავს იგიც ამ დანაშაულობამდე. კანონის თანახმად კეზელს ესეც ანგარიშში უნდა ჩაეთვალოს.

შემდეგ ბრალმდებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ და რა მხრიდგანა ჰქონდა განსვენებულს მოხვედრილი ტყვია და შეეხო მოწმე ხინჩაგაშვილის ჩვენებას, რომელმაცა სთქვა, კეზელის მხრივ მარტო მახარაშვილი ისროდა თოფსაო, მე ლუარსაბ ფავლენიშვილის სიტყვები, ყაზარმაში ნათქვამი, არავისთვის მითქვამსო. რომ მართლა კეზელის მხრიდგან თოფები უსროლიათ, ეს ხინჩაგაშვილის თქმითაცა მტკიცდება; ეს მოწმე თუმცა პირდაპირ ბრალდებულის კეზელის შესახებ არა ჰლაპარაკობს ამასა, მაგრამ მეორე ბრალდებულის მახარაშვილის შესახებ-კი ამბობს, თოფს ისროდაო. თუ კი მოწმე ხინჩაგაშვილმა ის არავის უთხრა, რაც ვითომ-და ფავლენიშვილმა დაავალა, საიდგან-ღა გაიგო ეს ბრალდებულმა და გამოჰკითხა აქა. ჩვენ ხომ არა გვწამს არც სპირიტიზმი და არც გრძნეულობა, რომ ვიფიქროთ, ამ საშუალებით გაუგიაო. ამის შემდეგ ბრალმდებელმა ილაპარაკა მოწმე კობიაშვილისა, პეტრიაშვილისა და ლაზვიაშვილის ჩვენებათა სხვა-და-სხვაობის გამო და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ შემთხვევაში მოლოდინსა და პეტრიაშვილის ჩვენება უფრო სარწმუნოაო.

ის გარემოება, რომ მოკლულს მაშინვე მცველები დაუყენეს, სრულიად შეუძლებელადა ჰხდის იმას, რომ იქ შაბურიანთ ან „გილზები“ გადაეყარათ და ან მიწაში ჩაეფლათ ტყვია, რომელიც იქ იპოვნეს. ამ გვარად გაჰქრა იანუსი და დარჩა ერთი პირი, სახელდობრ ბრალდებული კეზელი, რომელსაც დაჰვიწყებია უმთავრესი მცნება ღვთისა, მოყვასის სიყვარულის შესახებ. იგი განმსჭვალულია ბრმა თავ-მოყვარეობით, არ ინდობს მოყვასის სიცოცხლეს და უსპობს მას. ამის გამო იმედი მაქვს ბ-ნნო მსაჯულნო, რომ სავსებით გაითვალისწინებთ ამ საქმის ყველა გარემოებას და აგრეთვე მოკლულის ქვრივ-ობლების მდგომარეობასაც, არ შედრკებით და ხელს მოაწერთ გამამტყუნებელს განაჩენს, რომლითაც დამნაშავედ აღიარებთ ბრალდებულთ, რომ აღლევების დროს განზრახ ჩაუდენიათ მკვლელობა.

**ვექილი ჯაბადარი.** რომ უფრო ცხადი და გარკვეული იყოს, ბ-ნნო მსაჯულნო, ჩემი სიტყვა აზ. დ. ი. კეზელის დასაცველად ნათქვამი, მე ამ სიტყვას სამ ნაწილად გავყოფ. პირველ ნაწილში წარმოგიდგენთ სურათს აზ. შაბურიანთ წარსულისა და ეხლანდელის მდგომარეობისას და აგრეთვე აზ. (?) ფავლენიშვილებისას. მეორე ნაწილში შევეხები იმ გარემოებათ, რომლებიც წინ უძღოდა ამ საქმეს, ხოლო მესამეში დავასურათებ თითონ ამ საქმის გარემოებას.

ბ-ნნო მსაჯულნო, ვისაც-კი ჩვენგანს შემთხვევა ჰქონია სამხედრო-საქართველოს გზაზედ გავლისა კავკავიდგან ტფილისისაკენ, ჰნახავდა, რომ როდესაც უმთავრესს მთა-გრეხილს გადმოივლის და სამხრეთისკენ დაეშვება, იქიდანვე თვალ-წივ წარმოუდგება და გადაეშლება სოფელ საშაბუროს მიდამოები, თითონ სოფელ საშაბუროში გამვლელის ყურადღებას უეჭველად მიიზიდავს ერთი დიდებული ძველი კოშკი. ეს კოშკი, ბ-ნნო მსაჯულნო, მოწმეა იმ შაბურიანთ წარსულისა და აწმყოსი, რომელთაც ეკუთვნის ამ საქმის მსხვერპლი ბარამ შაბურიშვილი. ჯერ კიდევ საქართველოს უკანასკნელ მეფეების დროს ბარამის წინაპარნი და საზოგადოდ შაბურიანთ გვარის წევრი სარწმუნოებისა და მეფისათვის ერთ გულნი და თავდადებულნი მეომარნი იყვნენ. სამაგიეროდ არც იმათ აკლდათ წყალობა და სიყვარული მეფისა, სცხოვრობდნენ ბატონურად და კმაყოფილად. აბა ეხლა მიუახლოვდით და შეჰხედეთ ამ კოშკს.

**თავმჯდომარე.** ეგ კოშკი სასამართლოს კვლევა-ძიების საგნად არა ყოფილა და ამის გამო ეგ ლაპარაკი მეტია.

**ბრალმდებელი.** მე ჩემის მხრივ არავარ იმისი წინააღმდეგი, რომ ვექილმა სთქვას ყველა ის, რის თქმაც საჭიროდ მიაჩნია.

**ვექილი ჯაბადარი.** ეს კოშკი ოდესღაც მტრის სამუქაროდ აშენებული, ეხლა შაბურიანთ საცხოვრებელ სადგურადაა გადაქცეული. გარედგანვე შეამჩნევთ რამდენსამე სანათურს, გაქონილ ქაღალდ გაკრულს შუშის მაგიერ. ეზო ცალიერია, შებძანდით ახლა შიგნით და იქაც ვერას იპოვით. სხვა დანარჩენ შაბურიანთ სახლებსაც ყველას უკიდურესი სიღარიბე და სიგლახავე ეტყობა. თითონ ეხლანდელი წარმომადგენლებიც, ამ ოდესღაც დიდის გვარისანი, არიან მხოლოდ აჩრდილნი თავიანთის წინაპრებისა. ამგვარი ეხლანდელი მდგომარეობა შაბურიშვილებისა შედეგია იმ ისტორიულ ცვლილებისა, რომელიც მოხდა მემამულეთა შორის რუსთა აქ დამკვიდრებისა და ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ. ბატონობასა და ყმების ნაშრომნაღვაწით სმა-ჭამასა და ცხოვრებას დაჩვეულები და შრომას შეუჩვევლები დარჩნენ ბედის სინაზარად და საცოდაობით ძლივს და აჩანჩალებენ თავისს სიცოცხლეს.

ფავლენიშვილები-კი ცოტა ხნის გადმოსახლებულები არიან. თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ახალის ფორმაციის ხალხია, ისინი შაბურიშვილებზედ თითქო უფრო შეძლებულები არიან, მაგრამ შეჰხედეთ იმათის სახლის ნახევრად ჩამონგრეულს აივანსა და ნახევრად ახდილს სახლის სახურავს, რაც აშკარადა ჰყოფს პატრონის უზრუნველობასა და დაუდევრობას.

აი ამ ხალხის მახლობლად შეუძენია რამდენისამე წლის წინად ჩემს მრწმუნებელს მამული, მათს თვალწინ მოუკიდნია რიგიანის მეურნეობისათვის ხელი და სცხოვრობს იმათზედ გაცილებით უკეთესად. ამ გვარ არ-რის მცოდნე და არ-რის მქონე მეზობლობაში შურისა და მტრობის გაღვიძება ადვილად მოსალოდნელი იყო და ეს ხომ ასეც მოხდა.

მართალია, ქართველებში უხსოვარ დროიდგანაა წესად დადებული საბალახეს აღება, მაგრამ ეს საბალახე დაწესებულია მარტო გლეხთა და არა მამულის პატრონ აზნაურებისათვის. აქ შაბურიშვილებმა სთქვეს, რომ საერთოდ საბალახეს აღებას მონაწილე აზნაურებიც იყვნენ თანახმანიო. თანახმა იყო კეზელიცა და თითონ ეს საქმეც მისის რჩევით დავიწყეთო, მაგრამ ბოლოს უარი იმ მიზეზითა სთქვა, რომ თითონ ბევრი საქონელი გაიჩინა და საბალახეს მიცემა იმისთვის სასარგებლო აღარ იქნებოდაო. ეს მართალი არ არის. როდესაც საშაბუროში დასახლდა კეზელი, იმან მაშინვე ბლომად გაიჩინა როგორც სხვილ-ფეხი, ისე წვრილ ფეხი საქონელი, შაბურიანთა და ფავლენიანთ-კი ცოტა ჰყავდათ და აბა რად იყაბულებდა კეზელი ამ შემთხვევაში საბალახოს გაღებას. შეიძლება, რაიმე წეს-რიგის შემოღებას-კი ურჩევდა კეზელი მონაწილეებს საბალახეს აღების დროს, ხოლო ის, ვითომდა თანხმობა-კი, რომლის შესახებაც აქ შაბურიანნი ლაპარაკობენ, დასაჯერებელი არ არის. მორიგება რომ მომხდარიყო, ხომ წერილობით უნდა ყოფილიყო და არა სიტყვიერად. ეჭვი არ არის, ამ გვარად საბალახეს აღების მსურველნი თითონ შაბურიაანი და ფავლენიაანი იყვნენ და როცა კეზელი შინ არ იყო, მარჯვე დრო იპოვეს სურვილის მისაღწევად, დაესხნენ თავს კეზელის მწყემსებს, წაართვეს ღორები, დახოცეს და გაიყვეს. შაბურიაანთ აქა სთქვეს, იმის გამო დავხოცეთ, რომ სხვა გვარად გაყოფა არ შეიძლებოდაო. ესეც მართალი არ არის. იმისთვის დახოცეს, რომ ღორები უწესოდ იყო გამორთმეული და რომ არ დაეხოცათ, კეზელი ისევ დაიბრუნებდა ამ ღორებს.

ღორების დახოცვის შემდეგ შა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურიაანთ ივახშმეს, ღალიეს ბლომად მაჭარი და ეს შეზარხოშებული ხალხი, თავიდან ფეხამდე შეიარაღებული, ბრუნდება სახლში, როდესაც კეზელის საბძელს მიუახლოვდებიან, შეხვდებიან იმისს ბიჭებს, რომლებიც წასულები იყვნენ ღორების მოსანახად და იმ დროსვე ბრუნდებოდნენ სახლში, ეს შეხვედრილები დაუწყებენ ერთმანეთს ჯერ ლანძღვა-გინებას, მერე ჩხუბს, ამ ჩხუბში პირველად თოფს ესვრიან შაბურიაანი, რომელთა ხელში ორი „ცენტრალკა" ჰქონდათ და ხანჯლები. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბალახეს მოსაკრებად წასული აზნაურები უხანჯლოები იქმნებოდნენ. იქნება ამ ჩხუბში ბოლოს კეზელის ბიჭებმაც უპასუხეს თოფის სროლითა და აი, ამ ჩხუბისა და თოფის სროლის შედეგი იყო ბარამის სიკვდილი და მისი შვილის კოტეს ცემა. ჩემი მრწმუნებელი რომ კანონიერის ღონისძიებით თავისის თავის დაცვას არ უარჰყოფდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მან მიჰმართა მამასახლისს, რომელმაც ვერაფერი უშველა და ვერ დაიფარა კეზელი შაბურიაანთა და ფავლენიანთ ძალადობისაგან. თუმცა აქ ყველანი იმას ამბობდნენ, რომ მამასახლისი იმ ღამეს შაბურიანთსა არა ყოფილა ვახშმადაო, მაგრამ ეჭვი არ არის, იქ იყო ისიც, ივახშმა შაბურიანთთან ერთად და არავითარი განკარგულება არ მოახდინა მაშინვე. აი, სურათი ამ საქმისა. აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ჩემს მრწმუნებელს არაფრით არ დაუმსახურებია ბრალდებულთა სკამზედ ჯდომა და ამის გამო იმედი მაქვს, რომ მართალი სამართალი ამ საქმესაც სიმართლით შეჰხედავს და განათავისუფლებს კეზელს.

ვექილი ტურკევიჩი. რადგანაც საქმის გარემოება ორსავე ბრალდებულს ისე მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან, რომ თუ კეზელი მართალი აღმოჩნდება, მართალივე იქნება მახარაშვილიცა, და თუ მახარაშვილი გამართლდება, გამართლებული იქნება კეზელიც, მე ჩემს სიტყვაში შევეხები საქმის გარემოებას ორივე ბრალდებულის შესახებ და ვეცდები ამით გავუადვილო საქმე სასამართლოსაც. ბრალმდებელი არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს ბრალდებულის მოწმეებსა და მეც დიდის სიამოვნებით დავუთმობ მას ამ მოწმეებს, ან რად მინდა ეს მოწმეები, როდესაც თითონ ბრალდებულის მოწმეები მაძლევენ საჭირო მასალას. ყველა ისინი ამბობენ, ბნელოდაო; ყველანი ამბობენ, თოფები ვერ მოგვარტყესო; არც ერთი მათგანი არ ამბობს, ვინ მოარტყა თოფი ბარამ შაბურიშვილს. ჩვენის კანონმდებლობის ძალით, როდესაც აღელვების დროს განზრახ მკვლელობის ბრალი ედებათ ვისმე, თითოეული ბრალდებულთაგანი პასუხს აგებს მხოლოდ იმისას, რაც თითონ ჩაუდენია, ამ შემთხვევაში საერთო პასუხის-გება, რომელსაც თხოულობს ბრალმდებელი არ არის კანონის მიერ შეწყნარებული. ასეთი საერთო პასუხის გება კანონის ძალით მხოლოდ ადრევე განზრახულის მკვლელობისათვის არის დაწესებული და ამგვარი მოქმედება ხომ ბრალდებულებს არა ჰბრალდება. კეზელის მოსამსახურეებსა ჰქონდათ თოფები, ამის უარ-ყოფა შეუძლებელია, მაგრამ ის გარემოება-კი, რომ კეზელი ხელში თოფით მდგარიყოს და თოფი ესროლოს იმ ხევის ბექიდგან, სადაც ბარამი იყო მოკლული, არ არის დასაჯერებელი და არც არის დასაბუთებული; არ უთქვამს არც ერთს მოწამეს, რომ ბარამს თოფი კეზელმა მოარტყაო. ბარამი და მისი შვილი კეზელისგან გაქცეულები კი არ იყვნენ, იმათ უნდოდათ ხევს გასვლა და შინ წასვლა ამ გზით! ამ საერთო თოფის სროლაში ვისი თოფის ტყვია მოხვდა ბარამს, ეს გამოურკვეველი დარჩა და, რაკი არ არის დამტკიცებული, რომ ბარამი კეზელისა და მახარაშვილის ტყვიამ მოჰკლაო, ჩვენთვის სხვა გარემოებათ კვლევა-ძიება და ახსნა საჭირო აღარაა და არც იმ გარემოებასთან გვაქვს საქმე, ვინ არის და ვინ არა ბარამის მკვლელი. ეჭვი არაა, კეზლის ბიჭები და შაბურიაანი ერთმანეთს რომ შეხვედრიან, როდესაც კეზელის ბიჭები ღორების საძებნელად წასულები ბრუნდებოდნენ შინა და შაბურიშვილები შინ მოდიოდნენ, ჩხუბი მოსვლიათ. ერთმანეთისათვის თოფები უსროლიათ და ამ შეტაკების მსხვერპლი ყოფილა ბარამ შაბურიშვილი. *).

ბრალმდებელი. აქ ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ კეზელის ბიჭები ღორების მოსანახად იყვნენ წასულები, იქიდგან დაბრუნებულები შაბურიაანთ შეხვდნენ, იმათთან შეტაკება მოუვიდათ და ბარამი ამ შეტაკებაში ვისი თოფით იქმნა მოკლული აღარავინ იცისო. ამ სიტყვებით ბრალდებულის ვექილები თავის თავს თითონვე ამტყუნებენ. რა დასაჯერებელია, რომ კეზელს თავისი მოსამსახურეები შაბურიაანთგან საბალახოში აღებულისა და დახოცილის ღორების საძებნელად ტყეში გაეგზავნა მაშინ, როდესაც ღორების დახოცვა კეზელმა კარგად იცოდა და მამასახლისსაც აცნობა ეს ამბავი. შემდეგ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კანონის ძალით პასუხის გება ამ შემთხვევაშიაც საერთოაო.

შემდეგ ბრალდებულს კეზელს მისცეს უკანასკნელის სიტყვის თქმის ნება.

ბრალდებული კეზელი. მე, მართალია, დამნაშავე ვარ, მაგრამ შაბურიაანთ წინაშე-კი არა, ჩემის ცოლშვილის წინაშე, რადგანაც გადმოვსახლდი და დავიწყე ცხოვრება ისეთს ხალხში, სადაც ადამიანს არ ეცხოვრება და არ შეუძლიან რაიმე საქმეს ხელი მოჰკიდოს დაუბრკოლებლად, სადაც ადამიანი ყოველს ნაბიჯზედ შურსა და მტრობას გზას ვერსაიდგან აუქცევს ხოლმე. მე თვითონ ჩამაგდეს შაბურიანთა და ფავლენიანთ ისეთს ყოფაში, რომ საჭირო იყო ჩემთვის დაცვა-დაფარვა. ამისთვის მაზრის უფროსსაც მივმართე. გამომძიებელსაც და ბრალმდებელსაც, მაგრამ ჩემი თხოვნა არც ერთმა არ შეიწყნარა. აქ არც ერთმა შაბურიშვილმა და არც ერთმა მათმა მოწმემ მართალი არა სთქვა, ყველამ ძალიან კარგად იციან, რომ ფავლენიანთ, სანადირო თოფების გარდა ბერდანის თოფიცა და სხვა მსწრაფლ-მსროლი თოფებიცა აქვთ, მაგრამ ამის შესახებ ისინი გაჩუმებულები არიან. თითონ ლუარსაბ ფავლენიშვილს თუნდა ფუთობით მიჰქონდა თოფის წამალი ჯარიდან და ეხლა-კი უარჰყოფს, თოფ-იარაღი არა მაქვსო. ჩემს ბრალდებას მოკლულის ახლო ნაპოვნ ბერდანის თოფის „გილზებსა" და „ტყვიაზედაც" აფუძნებენ. ვინ არ იცის, რომ იქვე ახლო ბაზალეთის მინდორზედ ჯარს მუდამ წელიწადს სავარჯიშო სროლა აქვს, იქიდან ტყვიებისა და გილზების ზიდვა ზოგს ხელობად გაუხდია. ამის გამო უსაფუძვლოა ის მოსაზრება, რომ გილზებისა და ტყვიის შოვნა იქ მისაგდებად, სადაც ეს „გილზები" და ტყვია იპოვეს, არავისთვის შესაძლებელი არ იყოს. იმ ადგილას, სადაც მოკლული იყო და ტყვია იპოვეს, ისეთი ფხვიერი მიწაა, რომ იქ თუ არ განგებ მიგდებულს, შორიდგან ნასროლ თოფის ტყვიის პოვნა ყოვლად შეუძლებელია. დასასრულ, თქვენ გაბარებთ, ბატონო მსაჯულნო, ჩემს ცოლშვილს...

ორის საათის თათბირის შემდეგ 5 სექტემბერს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც კეზელს ტობოლსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი, ხოლო მახარაშვილს ერთის წლით პატიმართა რაზმში ყოფნა.

*) ბრალმდებლისა და ვექილების სიტყვები დაახლოვებით არის მოყვანილი, რადგან ნათქვამის სიტყვა-სიტყვით გადაცემა ყოვლად შეუძლებელი იყო.

## უცხოეთი

**ირლანდია.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, ირლანდია როგორ მიეგება მთელის ინგლისის დღესასწაულს—დედოფლის სამოცის წლის იუბილეის. ამ დღესასწაულში ჩარევის მაგიერ, მან გაჰკიცხა ინგლისის პოლიტიკა ირლანდიის მიმართ და საქვეყნოდ აღიარა, რომ არ შევურიგდები ინგლისს, ვიდრე თვითმმართველობას არ მომანიჭებს და არ განაკარგებს ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობასაო. ოც,ოცდა-ათ წელიწადზედ მეტია, რაც ირლანდიის საუკეთესო მამულიშვილთ ინგლისთან ბრძოლას შეაკლეს თავი, მაგრამ თავის სამშობლოს მდგომარეობის გაუმჯობესობას მაინც ვერ ეღირსნენ: ინგლისი დღესაც უწინდელებრ სტანჯავს ირლანდიას და იმისის მონობის უღლიდგან განთავისუფლებას სრულიად არა სცდილობსო. რასაკვირველია, ასეთს პირობებში ჩავარდნილი ირლანდია კარგის თვალით არ შეჰხედავს თავისს დამჩაგვრელს: იგი ზიზღითა და სიძულვილით უყურებს მას და მარჯვე შემთხვევის დროს სცდილობს მთელ ქვეყანას დაანახვოს ინგლისის მტარვალობა. წინად ამ გარემოებას ინგლისი ყურადღებას არ აქცევდა, ხოლო ამ ბოლოს დროს აღარ ეპაშნიკება იგი და სცდილობს როგორმე შეირიგოს ირლანდია. ყველასათვის აშკარაა, რომ ირლანდიის შერიგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იმის მკვიდრთ ისეთივე უფლებანი მიენიჭება, როგორიც ინგლისისასა აქვს, მაგრამ ინგლისს ეს არ უნდა და ამიტომ სულ სხვა საშუალებას მიჰყო ხელი. ინგლისის პოლიტიკოსების აზრით, საკმარისია რომელიმე სამეფო საგვარეულოს წევრმა ირლანდიაში იმოგზაუროს, რომ ირლანდიელების გული მოიგონ. და აი, სწორედ ამ აზრით, რამდენისამე ხნის წინად გაემგზავრა ირლანდიაში ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცი თავისის მეუღლითურთ. მაგრამ ირლანდიელები, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივად დაუხვდნენ. ირლანდიელებმა აშკარად დაანახვეს ტახტის მემკვიდრეს, რომ ვიდრე ჩვენი ყოფა-მდგომარეობა არ იქმნება გაუმჯობესებული, ირლანდიის ინგლისთან შერიგება ყოვლად შეუძლებელიაო.

**საბერძნეთი.** ათინის ჟურნალ გაზეთები უკმაყოფილონი არიან ზავის პირობებით. იმათის აზრით, საბერძნეთისთვის მეტად სამძიმოა 4 მილიონის სამხედრო ჯილდოს გარდახდა. ეს კიდევ არაფერი, რომ ამას ჩვენის ფინანსების მეთვალყურეობა არ მოსდევდესო. გაზ. „ასტა" ამბობს: საბერძნეთს ძალიან ძვირად დაუჯდა ერთის საათის სისულელე. მან დაჰკარგა თავისუფლება, რადგანაც თავისი ფინანსები სხვას დაუქვემდებარა. ერთად ერთი ნუგეში ის არის, რომ 300,000 თესალიელი განთავისუფლებულ იქმნა". გაზ. „აკროპოლი"-ს სიტყვით, საბერძნეთის დამცირება მთლად მთავრობის პოლიტიკის ბრალიაო. გაზ. „ემბროსი" ამბობს, უმჯობესი იქნებოდა, რომ საბერძნეთს თესალიისთვის დაენებებინა თავი და ფინანსები-კი სხვის ხელში არ ჩაეგდოო.

## დამაკვირდი

სათნოება უშედეგოდ არასოდეს არა რჩება: იმისს მომქმედს მიმბაძველი ყოველთვის გამოუჩნდება.

კონფუცი

* * *

მომეტებულზედ უარი სთქვი და ნაკლებულებას ასცდები.

კატონი

* * *

ვინც ბატონი არ არის თავისის თავისა, შეუძლიან განა თავისუფლად ყოფნა ინატროს? ხოლო ვინც ბატონია, ის განა თავისუფალი არ არის?

ფეუხტანლებენი

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დიდი ხანი არ არის, რაც ახალი მეცნიერება დაიბადა—ბაქტეროლოგია და უკვე დიდი სამსახური გაუწია მედიცინას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ისეთი უებარი საშუალება, როგორიც არის აცრა ყვავილისა, ხუნაგისა, ცოფისა და სხვ. ბაქტეროლოგიის წყალობით იქმნა მოგონილი. ამ ბოლოს დროს კიდევ მრავალი სასიამოვნო ამბავი დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. აქამდე არავითარი ღონისძიება არა ყოფილა იმ სასტიკ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომელთა სახელი საზარელია ადამიანისთვის. შავი-ჭირი, ხოლერა, ჭლექი. მარტო გაგონება ამ სიტყვებისა თავ-ზარ დასცემდა ხოლმე ხალხს. მართალია, ეხლაც ჯერ უებარი წამალი არ არის მოგონილი ამ საშინელ ავადმყოფობის წინააღმდეგ, მაგრამ ცოტაოდნად მაინც შეუძლიან კაცს ებრძოლოს ყველა ამ სენს და იმედია, ადრე თუ მალე უებარს წამალსაც გამოიგონებს მეცნიერება.

არის კიდევ ერთი სენიც, რომლისაგანაც ჩვენ ღმერთმა დაგვიფარა და რომელიც სხვა ქვეყნებში სასტიკადა მძვინვარებს ხოლმე და ხალხს მუსრს ავლებს. ეს სენი ეგრედ წოდებული ყვითელი სახადია. ყვითელს იმიტომ ეძახიან, რომ ადამიანს ამ ავადმყოფობისა გამო სიყვითლე მოსდის და ისე კვდება. წელიწადი ისე არ გავა თურმე, რომ სამხრეთისაკენ მდებარე ქვეყნებში ათი ათასობით არ იმსხვერპლოს ხალხი ამ ულმობელმა სენმა. ეს ორიოდ კვირაა,რაც ერთმა ახალგაზდა მკურნალმა, გვარად სონარელლიმ, აღმოაჩინა ამ სენის ბაქტერია. სონარელლმა დიდხანს იშრომა, ვიდრე ეს ბაქტერიები აღმოაჩინა. ეს ბაქტერია რომ სწორედ ყვითელის სახადისაა, მკურნალმა სონარელლიმ ასე დაამტკიცა: შეჰყარა ეს ბაქტერიები სხვა-და-სხვა პირუტყვებს, ყველანი ავად დახდნენ ყვითელ სახადის მზგავს სენითა და დაიხოცნენ კიდეც. მეორე მკურნალმა გვარად კალდასმა ისარგებლა სონარელის აღმოჩენით და ყვითელ სახადის წამალი გამოიგონა. ეს წამალი სცადეს კიდეც რიოგრანდესა და რიო-ჟანეიროში (ამერიკაშია) და მრავალი ავადმყოფი მოარჩინეს.

ძლიერ საყურადღებოა აგრედვე მესამე მკურნალის ბ-ნ მოროს მოხსენება. 30 მაისს ამ მკურნალთან მიუყვანიათ ერთი კაცი, რომელიც გველმა დაჰკბინა. ავადმყოფის მორჩენის იმედი არავისა ჰქონდა. სულს ძლივს ითქვამდა, მაჯა სუსტად უცემდა და დიდი სიცხე ჰქონდა. მკურნალმა მორომ შეუშხაპუნა ახლად მოგონილი წამალი გველის ნაკბენის წინააღმდეგ. მეორე დღეს ავადმყოფს სიცხემ უკლო, საღამოთი ოფლი დაასხა და ძლიერ დასუსტდა. მეორე დღეს კიდევ შეუშხაპუნეს წამალი და იმ დღესვე მოკეთდა. მესამე დღეს ავადმყოფი სრულიად განიკურნა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 სექტემბერი.

**მოსკოვი.** მოსკოვის სამაზრო ერობამ დააარსა მოსკოვის მაზრაში 24 სკოლა მათის იმპერატორებითის ქორწინების მოსაგონებლად.

**ვენა.** „Politische Correspodenr" ამბობს, სრულიად უსაფუძლოა ის ხმა, ვითომ ავსტრი-უნგრეთმა მისწერა საბერძნეთის მთავრობას, რომ ფინანსთა თვალ-ყურის მგდებელ კომისიის წარმომადგენელს არ დავნიშნავ ჩემის მხრით, რადგანაც ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებათ.

**ლონდონი.** კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, რომ ფინანსთა მინისტრმა ოსმალეთის სახელმწიფო ბანკთან პირობა შეჰკრა შესახებ ერთის მილიონის სესხისა. სესხის თავდებად უნდა იყოს სამხედრო საზღვაური, რომელიც საბერძნეთს გამოერთმევა.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა სთქვა. კრიტის კუნძულის ეხლანდელი მდგომარეობა ყოვლად შეუძლებელია და საჭიროა კრიტის საქმე მალე გამოირკვესო. ბარონი კალიცე, ნელიდოვი და საფრანგეთის რწმუნებული ბევრსა სცდილობენ, რომ ვისაც ომში მონაწილეობა მიუღია განთავისუფლებულ იქმნენ, რათა სამშობლოში დაბრუნება შეეძლოთო და დღევანდელ კრებაზედ გადასწყვიტეს ამ საქმის შესახებ მოხსენება წარუდგინოთ სულთანსაო.